



S K Y G R O U P

შპს სკაი გრუპ
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „სკაი გრუპ“-ის დირექტორი: ბუჯა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: შური გოლოძე

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2023 ლარი	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	7,932,101	8,797,891	7,168,917
არასაოპერაციო შემოსავალი	24,978	34,359	23,593
სულ შემოსავალი	7,957,079	8,832,250	7,192,510
დასაქმებულთა ანაზღაურება	5,318,692	5,109,737	4,273,900
იჯარის ხარჯი	232,054	258,643	232,997
საკონსულტაციო ხარჯი	105,038	29,706	101,287
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	143,105	134,970	132,436
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო	2,300,057	2,594,666	2,281,603
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	163,318	174,831	154,533
სულ ხარჯი	8,262,263	8,302,553	7,176,756
მოგება დაბეგვრამდე	(305,183)	529,697	15,754
მოგების გადასახადი	35,503	41,889	82,123
წმინდა მოგება	(340,686)	487,808	(66,369)
სხვა სრული შემოსავალი			
მთლიანი სრული შემოსავალი	(340,686)	487,808	(66,369)


წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მპს „სკაი გრუპ“-ის დირექტორი: ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე

ფინანსური მდგომარეობა	2023 ლარი	2022 ლარი	2021 ლარი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	627,758	999,607	475,509
სავაჭრო მოთხოვნები	202,479	315,532	203,333
გადახდილი ავანსები	193,879	226,080	284,947
სასესხო მოთხოვნები	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	60,687	69,363	434,195
სულ მიმდინარე აქტივები	1,084,802	1,610,582	1,397,984
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	160,739	250,951	220,211
არამატერიალური აქტივები	89,798	50,514	58,648
სულ გრძელვადიანი აქტივები	250,537	301,465	278,859
სულ აქტივები	1,335,339	1,912,047	1,676,843
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	35,241	79,229	67,374
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	36,530	26,459	57,234
სულ ვალდებულებები	71,771	105,688	124,608
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,263,568	1,806,359	1,552,235
სულ საკუთარი კაპიტალი	1,263,568	1,806,359	1,552,235
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,335,339	1,912,047	1,676,843

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „საქაი გრუპი“-ის დირექტორი : ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	<u>2023</u>	<u>2022</u>	<u>2021</u>
მოგება	(141,865)	704,528	170,287
დებიტორების ცვლილება	113,054	(112,199)	353,710
ავანსების ცვლილება	32,201	58,867	(194,538)
სხვა აქტივების ცვლილება	1,305	406,247	(251,170)
მიმდინარე სხვა აქტივების ცვლილება	8,513	(41,415)	(23,859)
არამატ. აქტივების ცვლილება	(39,284)	8,134	(51,459)
კრედიტორების ცვლილება	19,331	11,855	(12,014)
სხვა ვალდებულებების ცვლილება	(54,390)	(30,775)	57,234
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(61,135)	1,005,242	48,191
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირით. საშუალებების ცვლილება	90,212	(30,740)	17,423
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	90,212	(30,740)	17,423
ფინანსური საქმიანობა - გაცემული დივიდენდი	(237,608)	(275,573)	(532,488)
კაპიტალი		-	(65,272)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(237,608)	(275,573)	(597,760)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(208,531)	698,929	(532,146)
სავალუტო კურსის ეფექტი	(163,318)	(174,831)	(154,533)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	999,607	475,509	1,162,188
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	627,758	999,607	475,509

მპს „სკაი გრუპ“-ის დირექტორი: ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2023 ლარი	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	1,806,359	1,552,235	2,134,241	2,983,951
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	(340,686)	487,808	(66,369)	(537,428)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(202,105)	(233,684)	(515,637)	(312,282)
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	1,263,568	1,806,359	1,552,235	2,134,241

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „სკაი გრუპ“-ის დირექტორი: ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: შერი გოლოძე



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "სკაი გრუპ" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 24/01/2018). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ანდრია აფაქიძის ქ., N 5, სადარბაზო 2, სართული 13, ბინა N110. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი და შემდგომი უზრუნველყოფა, ასევე მომსახურებას პროგრამული უზრუნველყოფისა და ბიზნეს პროცესების მართვაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი დარიცხვის მეთოდი დაცულია.

2.3. გათვალისწინებულია მის ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მეწეგმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

2.6. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის;

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, რომელიც ეხება მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს, საწარმოების მოგების გადასახადი გადავადდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება მომსახურების გაწევა ან (და) ფულადი სახსრების გადაცემა;

დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

კომპიუტერული ტექნიკა	3
ავტო და სხვა ინვენტარი	5
მობილური ტელეფონები	2
სხვა ძირითადი საშუალებები	5

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს სავაჭრო ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება, თუ არ ხდება სახელშეკრულებო პირობების დარღვევა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან დივიდენდის გატანაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს.

იჯარა


იჯარა მოიცავს საოფისე ფართის ქირას, რომელიც მიღებულია ჩვეულებრივი საიჯარო პირობებით და აღირიცხება საოპერაციო იჯარის პრინციპით.

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები მოიცავს საპროცენტო შემოსავლებსა და სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ ეფექტს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცემა ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.




გადაყენილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკუროს სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
ლარი საბანკო ანგარიშზე	8,334.55 ₾	12,047.54 ₾	57,894.70 ₾
ევრო საბანკო ანგარიშზე	€ 107,098.24 €	319,567.77 €	145,601.69 €
დოლარი საბანკო ანგარიშზე	\$ 19,813.83 \$	24,333.23 \$	11,562.88 \$
ბრიტანული ფუნტი	£ 0.41 £	13.76 £	13.74 £

3.2. გაცემული მიმდინარე სესხი:

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
გაცემული სესხი	-	-	-

3.3. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	202,478.65	315,532.00	203,333.00


2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალეები არ აქვს.

3.4. გადახდილი ავანსები

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	63,041.54	86,807.51	73,106.42
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	130,837.85	139,272.97	211,840.97

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	57,902.28	65,274.00	23,859.00




3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	13,860.31	12,176.43	19,496.46
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	12,381.29	3,733.65	44,477.71

3.7. საკუთარი კაპიტალი

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	1,263,567.97	1,806,359.00	1,552,235.00

3.8. არასაოპერაციო ბარჯები და შემოსავლები

	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>	<u>31/12/2021</u>
არასაოპერაციო შემოსავალი	24,978.48	34,359.00	23,593.00

არასაოპერაციო შემოსავალი ფორმირდება სახელშეკრულებო პირობის დარღვევის გამო მიღებული საპროცენტო შემოსავლით.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 30 სექტემბერს.